„მონატრებით“ დაწყებული და „მზიანი გულით“ დამთავრებული ფესტივალი

ალიონი. გურიაში ათი დღის განმავლობაში თეატრალური ცხოვრება დაკრიმანჭულობდა.

ნოდარ დუმბაძის სახელობის მეორე საერთაშორისო ფესტივალი მწერლის დაბადების დღეს 5 ივლისს დაიწყო და ტრიუმფით გასრულდა 14 ივლისს.

ფესტივალი აერთიანებდა მწერლის ნაწარმოებების მიხედვით განხორციელებულ სცენურ ინტერპრეტაციებს როგორც ქართული პროფესიული, ისე უცხოური თეატრების სცენებზე.

იმის გამო, რომ ოზურგეთის თეატრში ფონდი „ქართუ“ სარეაბილიტაციო სამუშაოებს ასრულებს, წარმოდგენები ჩოხატაურის ფეშენებელურ ხელოვნების სასახლეში გაიმართა.

წლევანდელ ფესტივალში მონაწილეობდა 13 პროფესიული თეატრი, მათ შორის სამი უცხოური დასი აზერბაიჯანიდან და რუსეთიდან, ასევე თბილისის თუმანიშვილის კინომსახიობთა, თბილისის ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა, ქუთაისის, ახალციხის, ჭიათურის, რუსთავის, თელავის, ცხინვალის ქართული პროფესიული თეატრები. ჩამოვიდა დელეგაციები ბელარუსიდან, რუმინეთიდან, ბულგარეთის გაბროვოს საერთაშორისო ფესტივალიდან. გაფორმდა მემორანდუმი გაბროვოს ფესტივალსა და დუმბაძის ფესტივალს შორის.

ფესტივალი გაიხსნა ოზურგეთის თეატრის 150 წლისთავისადმი მიძღვნილი სპექტაკლით „მონატრება“, რომელიც საგანგებოდ ფესტივალისათვის დადგა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა ვასილ ჩიგოგიძემ. დადგმა ნოდარ დუმბაძის რამდენიმე ნაწარმოებს მოიცავს და ოზურგეთის თეატრის მთელ დასს აერთიანებს.

ფესტივალზე განჯის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა წარმოადგინა „ჰელადოსი“, მოსკოვის თეატრმა „ნიკიტსკის კარიბჭემ“ შემოგვთავაზა ნოდარ დუმბაძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, ხოლო პერმის თეატრმა – სპექტაკლი „ზურიკელა“.

ფესტივალის დახურვის პატივი ერგო ნოდარ დუმბაძის მშობლიური ჩოხატაურის ხელოვნების სასახლის დასს სპექტაკლით „მზიანი გული“.

ფესტივალის დამფუძნებელია საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო ოზურგეთის სახელმწიფო დრამატულ პროფესიულ თეატრთან ერთად, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტები.

ნოდარ დუმბაძის საერთაშორისო ფესტივალი 2016 წელს დაარსდა და ის სამ წელიწადში ერთხელ იმართება.

ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. № 28 (10273) 16 ივლისი, 2018 წ. ფასი 60 თეთრი.

კიბოს ინიციდენტობის მაჩვენებელი ოზურგეთში ყველაზე მაღალია

კიბოს რეგისტრი - ასე ჰქვია პროგრამას, რომელშიც მთელ საქართველოში კიბოს გავრცელების შესახებ სრული ინფორმაცია გროვდება. რეგისტრი უკვე მესამე წელია საქართველოში ამოქმედდა. პირველი მონაცემები 2015 წელს გამოქვეყნდა.

რეგისტრის ამოქმედებამდე საქართველოში კიბოს შესახებ მონაცემთა შეგროვება მნიშვნელოვანი ხარვეზებით მიმდინარეობდა.

მაგალითად, რეგისტრის ამოქმედებამდე 2014 წელს საქართველოში 100 000 მოსახლეზე 140 ახალწარმონაქმნი ფიქსირდებოდა, რეგისტრის მონაცემებით კი 2015 წელს ეს მაჩვენებელი 287-მდე გაიზარდა.

დაავადებათა კონტროლის ეროვნულმა ცენტრმა რეგისტრის სამი წლის მონაცემები გაანალიზა და წინასწარი მონაცემები გამოაქვეყნა.

სამი წლის მონაცემების მიხედვით, 2015-2017 წლებში საქართველოში რეგისტრირებული ყველა ლოკაციის კიბოს ახალი შემთხვევების რაოდენობა 8 700 - 11 000-ის ფარგლებში მერყეობდა. მაგალითად, 2017 წელს კიბოს 8731 ახალი შემთხვევა დაფიქსირდა (ყველა ლოკაცია)

2017 წლის სტატისტიკის მიხედვით, საქართველოში ყოველ 100 000 ადამიანზე კიბოს 234 ახალი შემთხვევა დაფიქსირდა.

განსაკუთრებით საგულისხმოა ქალებში ფარისებრი ჯირკვლის კიბოს შემთხვევების რაოდენობა.

ბოლო სამი წელია, ქალებში რეგისტრირებულ კიბოს ახალ შემთხვევებს შორის ფარისებრი ჯირკვლის კიბოს მეორე ადგილი უკავია. **NCDC**-ის წარმომადგენლის ინფორმაციით, ქალებში ფარისებრი ჯირკვლის კიბოს ასეთი სიხშირე სხვა ქვეყნებში არ გვხვდება.

მაგალითად, 2017 წელს ქალებში ავთვისებიანი სიმსივნის 4 937 ახალი შემთხვევა დაფიქსირდა. აქედან პირველ ადგილზე სარძევე ჯირკვალია (1 541 შემთხვევა), მეორეზე კი ფარისებრი ჯირკვალი (721 შემთხვევა).

რატომ მოიმატა საქართველოში ფარისებრი ჯირკვლის კიბოს შემთხვევების რაოდენობამ და კიბოს გავრცელების კუთხით როგორი სურათი გვაქვს რეგიონების მიხედვით. რეგისტრში მოცემულია ინფორმაცია იმ 18 მუნიციპალიტეტის შესახებ, რომლებშიც კიბოს ინიციდენტობის მაჩვენებელი ყველაზე მაღალია.

როგორც დასაწყიში აღვნიშნეთ, ქვეყანაში კიბოს ავადობის მაჩვენებელი 100 000 მოსახლეზე 241-ს შეადგენს.

18 მუნიციპალიტეტში მაჩვენებელი ქვეყნის მაჩვენებელს აღემატება. ყველაზე მაღალი მაჩვენებლები დაფიქსირდა **ოზურგეთისა** (370) და **ახალციხის** (344) მუნიციპალიტეტებში.

ადრეული და სკოლამდელი განათლების რეფორმა დაიწყო...

არის თუ არა ვალდებული აღმასრულებელი ორგანო დეპუტატებს მიაწოდოს ინფორმაცია, მათივე უფლებამოსილების სრულყოფილად განსახორციელებლად?

ალიონი. 2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ,“რის საფუძველზეც, საქართველოში ადრეული და სკოლამდელი განათლების რეფორმა დაიწყო. ამ რეფორმის მიზანია ყველა ბავშვისთვის სკოლამდელი მომსახურების ხელმისწავდომობის, თანაბარი შესაძლებლობების, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო ხარისხის გაუმჯობესება სკოლამდელ დაწესებულებებში.

ამ თემაზე საქართველოს პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე **ეკა ბესელიამ** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე დავით დარჩიას წერილით მიმართა:

„საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტთან შექმნილია „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის იმპლემენტაციის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო, რომლის მიზანია, იმპლემენტაციის პროცესის ხელშეწყობა, აღსრულებაზე ზედამხედველობის განხორციელება და მონიტორინგი.

აღნიშნული კანონით მუნიციპალიტეტების საკრებულოებს განესაზღვრათ ვალდებულება, უზრუნველყონ სამოქმედო გეგმების შემუშავება მათ ტერიტორიაზე მოქმედი დაწესებულებების მიერ კანონის მოთხოვნებთან თავსებადობის ეტაპობრივად მისაღწევად, “ - წერს იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე და სთხოვს მუნიციპალიტეტის საკრებულოებს შეიმუშაონ რეფორმის განხორციელებისათვის სამოქმედო გეგმა.

გასულ პარასკევს გაიმართა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომა, სადაც სკოლამდელ დაწესებულებებში რეფორმის განხორციელების საკითხზე იმსჯელეს.

საკითხი დასახელებული კომისიის თავმჯდომარე **ლელა საჯაიამ** და მუნიციპალიტეტის მერიის ადრეული და სკოლამდელი აღზრდის განყოფილების უფროსმა **თემურ მოქიამ** წარმოადგინეს.

– საქართველოს მთავრობის მიერ ავტორიზაციის წესის მიღებისთანავე ა(ა) იპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის მიმართ დაიწყება რეორგანიზაციის პროცესი, ცენტრის ფილიალების ა(ა) იპ საბავშვო ბაღებად ჩამოყალიბების მიზნით, რადგანაც ავტორიზაციის პროცესში სკოლამდელი დაწესებულებები ცალ-ცალკე იურიდიულ პირებად უნდა იყოს რეგისტრირებული; დამუშავდება ცენტრისა და ა(ა)იპ საბავშვო ბაღების წესდებები, მოგვარდება რეორგანიზაციის თანამდევი ფინანსური და ქონებრივი საკითხი, რამდენიმე დღეში მომზადდება საკრებულოს მიერ დასამტკიცებელი აქტების პროექტები –განაცხადა ლელა საჯაიამ.

–სკოლამდელი დაწესებულების რეფორმა მნიშვნელოვანია სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისად სკოლამდელ აღზრდისა და განათლების გასაუმჯობესებლად.

თუ გადავხედავთ არსებულ რეალობას, გვაქვს რამდენიმე ბაღი, რომლებიც შეხიზნულია ადმინისტრაციულ შენობებში (მერია, ბაილეთი...ერთი ქალაქშიც); რეფორმის მოთხოვნაა, თითოეულ ბაღს დამოუკიდებელი ფართი ჰქონდეს, უნდა

გვ-3

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო ქომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 60 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 2,40 ლარი,
სამი თვით – 7,20 ლარი,
6 თვით –14,40 ლარი,
ერთი წლით – 29,60 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100

საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაინყეთ ყოველი ოჩშაბათი აღიონზე

«ალიონით»

ჯუბერში სტიქიის ზონაში მყოფ „ქართული ოცნების“ აქალგაზრდული ორგანიზაციის წევრებს და მოხალისეებს გურიის რეგიონიდან შეუერთდნენ.

12 ივლისს ჯუბერში სტიქიის ზონაში მყოფ „ქართული ოცნების“ ახალგაზრდული ორგანიზაციის წევრებს და მოხალისეებს გურიის რეგიონიდან შეუერთდნენ. ოზურგეთისა და ჩოხატაურის „ქართული ოცნების“ ახალგაზრდებმა ჰუმანიტარული ტვირთის დარიგების პროცესში მიიღეს მონაწილეობა. ასევე, დასუფთავეს მდინარე ნენსკრას მარცხენა სანაპიროზე მდებარე საცხოვრებელი სახლები და ეზოები.

მოხალისეები საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს წარმომადგენლებს შეხვდნენ და მათგან უსაფრთხოების წესებისა და შესასრულებელი სამუშაოების შესახებ ინფორმაციები მიიღეს.

დაბა ნასაკირალში საბავშვო ბაღი შენდება

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ, ოსიკო თოთიბაძემ ინფრასტრუქტურის განყოფილების უფროსთან, თემურ გიორგაძესთან ერთად დაბა ნასაკირალში მე-2 საბავშვო ბაღის სამშენებლო სამუშაოები დაათვალიერა.

დაბა ნასაკირალში საბავშვო ბაღის არარსებობის გამო ადგილობრივებს ბავშვები მეზობელი სოფლის საბავშვო ბაღში დაჰყავდათ.

საბავშვო ბაღის მშენებლობა, რომლის ღირებულება 458 413 ლარს შეადგენს, 2017 წლის აგვისტოში დაიწყო და 2018 წლის დეკემბრამდე უნდა დასრულდეს.

საბავშვო ბაღი 75 აღსაზრდელს მიიღებს.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი კონსტანტინე შარაშენიძე სოფელ ბახვის მაცხოვრებლებს შეხვდა

ადგილობრივები ორსართულიან კორპუსში გაუსაძლის პირობებში ცხოვრობენ. საცხოვრებელ სახლს დაზიანებული აქვს სახურავი.

როგორც ამბობენ, წვიმის დროს წყალი სახლში ჩასდით და ძირითადი ინფრასტრუქტურა ამით კიდევ უფრო ზიანდება. აღნიშნული პრობლემა მრავალბინიანი კორპუსის მაცხოვრებლებს წლების განმავლობაში აწუხებთ.

კონსტანტინე შარაშენიძემ მოსახლეობას განუმარტა, რომ მათი მძიმე საცხოვრებელი პირობების გასაუმჯობესებლად მერიის არქიტექტურისა და ინფრასტრუქტურის სამსახური მუშაობას ხვალიდანვე შეუდგება.

„ჩვენი სამსახურები მდგომარეობას ხვალ, დაჩქარებულ რეჟიმში შეისწავლიან, მოამზადებენ შესაბამის დოკუმენტაციას, შეადგენენ პროექტს და ახლო მომავალში შევეცდებით ბინის მაცხოვრებლების პრობლემის გადაჭრას,“ - აღნიშნა მერმა.

ბიუროს სხდომაზე უძრავი ქონების პრივატიზაციის საკითხზე იმსჯელეს



ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ – ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის შესახებ იმსჯელა.

საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა, რომელიც მერიამ წარმოადგინა, ბიუროს გადაწყვეტილებით შესაბამის კომისიასა და ფრაქციებს გადაეგზავნა განსახილველად. დასკვნების წარმოდგენის შემდეგ, ბიურო იმსჯელებს საკითხის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში ასახვაზე.

ქონების აუქციონის გზით პრივატიზებამდე კი მერიამ ქონების გასხვისებასთან და აუქციონის ჩატარებასთან დაკავშირებით სამართლებრივი აქტების პროექტები უნდა წარმოადგინოს.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შემდეგ, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ **გიორგი ლურჯუმელიძემ** განცხადება, საკრებულოს წევრებისთვის, აღმასრულებელი ორგანოს მხრიდან ინფორმაციის არ მიწოდების შესახებ გააკეთა.

ბიუროს აბსოლუტური უმრავლესობა მიიჩნევს, რომ აღნიშნული საკითხი აუცილებლად უნდა დარეგულირდეს, რათა საკრებულოს წევრებს არ შეეშალოს ხელი უფლებამოსილების განხორციელებაში.

ცნობისათვის, საკრებულოს წევრი უფლებამოსილია „საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ისარგებლოს ნებისმიერი ინფორმაციით, რომელიც აუცილებელია მისი უფლებამოსილების განსახორციელებლად".

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბახვში გზების დაგრეიდერება-მოხრეშვა მიმდინარეობს

სამუშაოებს გასულ პარასკევს ოზურგეთის მერი, კონსტანტინე შარაშენიძე, სოფლის მაჟორიტარ დეპუტატთან – ეროდი გორდელაძესთან ერთად ადგილზე გაეცნო.

მუნიციპალური ტექნიკა მშვიდობაური-ბახვის დამაკავშირებელი გზის 3 კილომეტრიან მონაკვეთზე მუშაობს.

პარალელურ რეჟიმში მიმდინარეობს მაღალი ეწერი-ნაგომრის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის დაგრეიდერება-მოხრეშვა.

კონსტანტინე შარაშენიძის ინფორმაციით გზების მოწესრიგება სხვა სოფლებშიც იგეგმება.

პროექტი "აქტიური ცხოვრება ჩემი სტიქიაა"

ბორჯომში, პირველ ადაპტირებულ საველე ბანაკში საქართველოს პირველობაზე ჯომარდობის ინტეგრირებული შეჯიბრი ჩატარდა.

მასში მონაწილეობა მიიღეს აფხაზეთის მთავრობის ვეტრანების სახელმწიფო საქმეთა სამსახურის და საქართველოს მასშტაბით საგარეჯოს, გორის, ხაშურის, ბათუმის, ხულოს, ზუგდიდის, ოზურგეთისა და თბილისისი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებით დაკომპლექტებულმა გუნდებმა და სამშვიდობო მისიის ფარგლებში დაჭრილმა სამხედროებმა.

ინტეგრირებული ჯომარდობის შეჯიბრის გამარჯვებული და გარდამავალი თასის მფლობელი ოზურგეთის მერიის გუნდი გახდა!!!

ლიეტუვაში საქართველოს უწოდებენ „საქართველოს“ და არა „გრუზიას“

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დელეგაციის ვიზიტი ალიტუსში

თემურ მარშანიშვილი

არ იფიქროთ, თითქოს სათაურში შეცდომა დავუშვით, ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკა ლიტვას თავისი სახელი დაუბრუნდა და დღეს ლიეტუვა ჰქვია. სხვათა შორის, ლიეტუვაში საქართველოს უწოდებენ „საქართველოს“ და არა „გრუზიას“.

ახლა კი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დელეგაციის საქმიანი ვიზიტის შესახებ ლიეტუვას ერთ-ერთ რაიონში - ალიტუსში: ბარემ, მკითხველს აქვე შევახსენებ, რომ 10 წელია, რაც ალიტუსისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტებს შორის გაფორმებულია მეგობრობის მემორანდუმი.

ამჟამინდელი ვიზიტი განხორციელდა პროექტის „აქტიური ადგილობრივი მოქმედების ჯგუფები - ალიტუსის რაიონის გამოცდილების გადაცემა ოზურგეთისათვის“ ფარგლებში, რომელსაც აფინანსებს ლიეტუვას საგარეო საქმეთა სამინისტრო.

პროექტის ხელმძღვანელის, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის **ნანა თავდუმაძის** თქმით, ეს პროექტი, უკვე რიგით მესამეა, რომელიც ერთგვარი საფუძველია ალიტუსისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტებს შორის ახალი პარტნიორული ურთიერთობების დამყარებისა.

ამ ვიზიტამდე, 24-28 ივნისს ოზურგეთს იმყოფებოდა ალიტუსის დელეგაცია ალიტუსის მერის მოადგილის არვიდას ბალჩიუნასის, ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფის დირექტორის ვიდა რუბლიაუსკიანეს და **AB Verso Projektu Centras**-ის დირექტორის დაივა კვედარაიტეს შემადგენლობით. სტუმრებმა ჩაატარეს ტრეინინგები ევროინტეგრაციის პროცესების მნიშვნელობაზე ქვეყნისა და რეგიონის განვითარებაში, როგორ უნდა განავითაროთ მეწარმეობა ადგილობრივი თემების მცირე ბიზნესის შესაძლებლობებით, როგორ მოვიპოვოთ ევროკავშირის დაფინანსება და როგორ გავხდეთ ევროპული ბაზრის წევრები.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დელეგაცია (ნანა თავდუმაძე, გია ებრალიძე, კონსტანტინე შარაშენიძე მარიკა ჩხარტიშვილი. გია მამაკაიშვილი, ქეთი ვასაძე, ვახტანგ გველებიანი) ალიტუსში 2 ივლისს გაემგზავრა და ოზურგეთში 8 ივლისს დაბრუნდა.

როგორც პროექტის ხელმძღვანელმა ნანა თავდუმაძემ გვითხრა, ალიტუსში გაეცნენ თვითმმართველობის საქმიანობას, თვითმმართველობაში მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმებს, „ერთი ფანჯრის“ პრინციპით მუშაობის პრაქტიკულ მაგალითებს, ხანდაზმულთა სახლების მუშაობის პრინციპებს, ადგილობრივი თემების მუშაობის ფორმებსა და მიმართულებებს. ალიტუსის მუნიციპალიტეტში დაახლოებით 75 თემია, რომლებიც საკუთარი რესურსების მობილიზებით ქმნიან ტურისტულ პროდუქტებს და არა მხოლოდ ტურისტულ პროდუქტებს, ეს თემები დასაქმების ერთგვარი საშუალებაცაა.

გურიის მხარის ეკონომიკური პოტენციალის შესახებ ბალტიისპირელ მეგობრებს ესაუბრა გუბერნატორის მოადგილე გია ებრალიძე, თავისი ხედვები ოზურგეთის მუნიციპალიტეტის განვითარების შესახებ ალიტუსელებს გააცნო ოზურგეთის მერმა კონსტანტინე შარაშენიძემ.

მასპინძლებმა და დელეგაციის წევრებმა ერთობლივად იმუშავეს ახალი წინადადებების პაკეტებზე, იმაზე, თუ როგორ უნდა მოხდეს ალიტუსელთა გამოცდილების ადაპტირება ოზურგეთის პირობებში.

ვიზიტის პროგრამა იყო მრავალმხრივი და ითვალისწინებდა ალიტუსის მეზობელი მუნიციპალიტეტების გაცნობასაც.

დელეგაციის წევრის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატის, ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილის **მარიკა ჩხიკვიშვილის** თქმით, აქ გაცნობილი მიმართულებებიდან განსაკუთრებით საინტერესოა მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციის მუშაობა:

„ალიტუსის რაიონის მერთან ალგირდას ვრუბლიაუსკასთან ოფიციალურ შეხვედრაზე კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღინიშნა ოზურგეთისა და ალიტუსის მუნიციპალიტეტების მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობით განხორციელებული პროექტების შესახებ.

გავეცანით ალიტუსის მუნიციპალიტეტის საქმიანობას სხვადასხვა მიმართულებით, განსაკუთრებით საინტერესოა მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციის მუშაობა, სადაც მოქალაქე ერთი ფანჯრის პრინციპით იღებს მონაწილეობას. ტექნიკურად სრულად არის აღჭურვილი სხდომის დარბაზი და სამუშაო ოთახები, რომელიც გამჭვირვალეა და თანამშრომლების საქმიანობას გარედან აკვირდები. ასევე საინტერესოა სათემო ორგანიზაციების არსებობა ყველა სოფელში, სადაც მოსახლეობა იკრიბება და თვითონ წყვეტს რისი გაკეთება არის მნიშვნელოვანი მისი თემისთვის. სათემო ორგანიზაციის წევრები მაღალი საზოგადოებრივი ცნობიერებით გამოირჩევიან და კარგად აქვთ გაცნობიერებული თავისი კუთხის სიყვარული. უფრთხილდებიან და უვლიან მუნიციპალიტეტის ქონებას და ეხმარებიან ადმინისტრაციას სხვადასხვა პროექტების განხორციელებაში. განსაკუთრებით დასამახსოვრებელი იყო მოხუცთა თავშესაფრები, რომლებიც მაღალ სტანდარტს შეესაბამება, ადაპტირებულია ყველა ნორმის დაცვით და მთლიანად არის მუნიციპალიტეტის დაფინანსებაში. ძალზე საინტერესო იყო საგანმანათლებლო დაწესებულებები როგორც სკოლამდელი, ასევე ზოგადი საგანმანათლებლო კუთხით. მნიშვნელოვანია ის, რომ მუნიციპალიტეტი ადგილობრივი ბიუჯეტიდან ეხმარება კერძო ბიზნესს და გასცემს მცირე გრანტებს. დელეგაციის წევრებმა პირადად მოვინახულეთ ოჯახურ პირობებში მოწყობილი კერძო ბიზნესი, რომლის მოწყობაში, რა თქმა უნდა, ადგილობრივი ბიუჯეტის წილიცაა.

ვფიქრობ, ძალიან საინტერესო ვიზიტი იყო და ბევრ საინტერესო ინიციატივას გადმოვიტანთ ჩვენს მუნიციპალიტეტში“.

როგორც ჩვენთან საუბარში ნანა თავდუმაძემ აღნიშნა, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დელეგაციის ლიეტუვაში ვიზიტი დაემთხვა ლიეტუვას მეფის კორონიზაციის დღეს, რომელიც აქ მასშტაბურად აღინიშნება:

„ჩვენი ვიზიტი დაემთხვა ლიეტუვას მეფის მინდაუგასის კორონიზაციის დღეს, რომელიც აქ მასშტაბურად აღინიშნება, ლიეტუვაში მას სახელმწიფოებრიობის დღე ეწოდება. ამ დღეს ქვეყნის ყველა ქალაქსა და სოფელში ხალხი იკრიბება და სახელმწიფო ჰიმნს ასრულებს. მოხარული ვართ, რომ ამ ღონისძიების მონაწილეები გავხდით და მონაწილეობა მივიღეთ ვილნიუსში, გედემინაციის გამზირზე გამართულ საზეიმო მსვლელობაში.

აღსანიშნავია, რომ აქ საქართველოს უწოდებენ „საქართველოს“ და არა „გრუზიას“. გვთხოვეს, ჩვენაც ასე მოვიქცეთ და მათ ქვეყანას ვუწოდოთ ლიეტუვა და არა ლიტვა“.

ნანა თავდუმაძის თქმით, აგვისტოში ოზურგეთს ჩამოვა ალიტუსის დელეგაცია და ჩატარდება პროექტის შემაჯამებელი ღონისძიება, მანამდე კი ვიზიტის ანგარიშს, პრეზენტაციის სახით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარადგენენ. პრეზენტაციაზე, რა თქმა უნდა, მიიწვევენ მედიასაშუალებებს.

პროექტით „აქტიური ადგილობრივი მოქმედების ჯგუფები - ალიტუსის რაიონის გამოცდილების გადაცემა ოზურგეთისათვის“ განსაზვრულია ხელი შეეწყოს საქართველოს რეგიონის - გურიის განვითარებას, სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას.

პროექტს ახორციელებს ალიტუსის რაიონის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაცია და ოზურგეთის მუნიციპალიტეტი.

პროექტს აფინანსებს ლიეტუვას საგარეო საქმეთა სამინისტრო, თანამშრომლობის განვითარების მიზნით, დემოკრატიის მხარდაჭერის პროგრამის სახსრებით.

ადრეული და სკოლამდელი განათლების რეფორმა დაიწყო...

არის თუ არა ვალდებული აღმასრულებელი ორგანო დეპუტატებს მიაწოდოს ინფორმაცია, მათივე უფლებამოსილების სრულყოფილად განსახორციელებლად?

მოხდეს მათი დამოუკიდებელ აიპად ჩამოყალიბება. გარდა ამისა, შერეული ჯგუფები 15 ბავშვი იქნება; თუ ბაღში 25 ბავშვია, იქ ორი ჯგუფი გაიხსნება; დღეს რეალურად გადატვირთული საბავშვო ბაღების სასწავლო ჯგუფები; ქ. ოზურგეთის №9 საბავშვო ბაღში 2-3 წლიანთა ჯგუფში 43 ბავშვია, ასევე გადატვირთულია №3 საბავშვო ბაღის ჯგუფები. ეს პროცესები დალაგდება, ამიტომ უნდა მოხდეს პედაგოგების გადამზადება. რეფორმა 2020 წლის 1 აპრილისთვის უნდა დასრულდეს– აღნიშნა თემურ მოქიამ.

–გაღმა დვაბზუში კარგი ბაღი გვაქვს, თუმცა იქ ადგილობრივი 5 ბავშვი დადის. ბაღის ძირითად კონტიგენტს დვაბზუს ნასაკირალში მცხოვრები ეკომიგრანტების შვილები შეადგენენ – ისინი 40 არიან. ამჟამად დვაბზუს ნასაკირალის ტერიტორიაზე ახალი, თანამედროვე სტანდარტისბაგა-ბაღი შენდება,

–განაცხადა სოფელ დვაბზუს მაჟორიტარმა დეპუტატმა **როზეტა სკამკოჩაიშვილმა.**

– ჩვენს თემში სოფელ ბაღდადში არის საბავშვო ბაღი, სადაც ცხემლიხიდელი და უჩხუბელი ბავშვებიც დადიან. სასურველია საბავშვო ბაღის ერთი ჯგუფი სოფელ ცხემლისხიდშიც გაიხსნას, ან ბავშვებს ავტობუსი მოემსახუროს – წინადადება დაყენა სოფელ ცხემლისხიდის მაჟორიტარმა დეპუტატმა **ლალი სიჭინავამ.**

თემურ მოქიამ ისიც აღნიშნა, რომ ამჟამად მათი ხელშეწყობით ბაღების გაერთიანებამ 26 ახალი მაცივარი შეიძინა, სადაც ნატურალური რძის ნაწარმი ინახება; ხოლო საჯაის თქმით, როცა ბაღების გაერთიანება გაუქმდება, სასურველია იყოს შესყიდვების სამსახური, რომელიც მუნიციპალიტეტის სკოლამდელი დაწესებულელების პროდუქტების შესყიდვას განახორციელებს.

– როცა რეფორმაზე ვსაუბრობთ, რაც ძალზე მნიშვნელოვანია, უნდა ვფლობდეთ ინფორმაციას რამდენი თანამშრომელი მუშაობს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ბაღების აიპში. წლის დასაწყისში მოვითხოვეთ საშტატო ნუსხა, ხელფასები და ა.შ. ორჯერ მივმართეთ მუნიციპალიტეტის მერიას საჯარო ინფორმაციის მისაღებად, მაგრამ დღემდე ოფიციალური პასუხი არ მიგვიღია, ხელი გვეშლება მუშაობაში– განაცხადა ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე **მარიკა ჩხიკვიშვილმა.** აღნიშნული დაადასტურეს დეპუტატებმა **ლელა საჯაიამ** და **ხათუნა ცერცვაძემ**.

მერიიდან საჯარო ინფორმაციის მიუღებლობის შესახებ მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე **გიორგი ღურჯუმელიძემაც** განაცხადა.

–აღმასრულებელი ორგანო ვალდებულია თითოეულ დეპუტატს მიაწოდოს ამომწურავი ინფორმაცია, მათივე უფლებამოსილების სრულყოფილად განსახორციელებლად.

მერიას არაერთი წერილი გაეგზავნა მერიისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების და შპს-ების საშტატო ნუსხის მიწოდების შესახებ, რომელიც დღემდე უპასუხოდაა დარჩენილი. ასეთი დამოკიდებულება არაა სასურველი, - გვითხრა გიორგი ღურჯუმელიძემ

გაზეთი „ალიონი“ ა(ა) იპ „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მე-რიის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ უფროსს **მაკა ჭყონიასაც** ესაუბრა:

–მე არ ვიცი, რატომ არ გადაუგზავნა მუნიციპალიტეტის მერიამ საკრებულოს ოფიციალური პასუხი, მაგრამ ამ თემაზე საკრებულოს შესაბამის კომისიას 2018 წლის მარტში მივაწოდე ინფორმაცია აიპის შტატებთან დაკავშირებით – გვითხრა მაკა ჭყონიამ.

მინდია სალუქვაძე: „ჩვენი მიზანი იყო მოგვენიშნა გურია ტურისტულ რუკაზე“

მარი კოკოევი

გურიას, გურულებს ყველაფერი გვაქვს იმისთვის, რომ ტურიზმი განვავითაროთ. როგორც ზღვისპირა ასევე მაღალმთიანი ზონები, კულტურულ-ისტორიული ძეგლები, მინერალური წყლები წესით, ვიზიტორებისთვის მიმზიდველი უნდა იყოს. ტურიზმის განვითარებისთვის სამუშაო ჯერ კიდევ ბევრია.

„ჩვენს რეგიონში ტურიზმს უზარმაზარი პოტენციალი აქვს, თუ გავითვალისწინებთ გურიის ადგილმდებარეობას, კულტურულ მემკვიდრეობას, ფოლკლორს, სამზარეულოს, ბრწყინვალე ბუნებას, ზღვისპირეთს, მთას. ყველაფერი ეს ტურიზმისთვის მნიშვნელოვანი შემადგენელი კომპონენტებია. ძალიან მნიშვნელოვანია ამ ყველაფრის გამოყენება.“– გვითხრა ინოვაციების და სამოქალაქო განვითარების ცენტრ „პროგრესის სახლის“ გამგეობის თავმჯდომარემ **მინდია სალუქვაძემ.**

მინდია სალუქვაძე: 2015 წელს ევროკავშირმა დააფინანსა პროექტი „მონაწილეობითი პრინციპები გურიის ტურიზმის სტრატეგიის შემუშავებისათვის, რომლის ავტორიც არის ოზურგეთის მუნიციპალიტეტი. სხვათა შორის, ერთ-ერთი პირველი შემთხვევა იყო, როცა ევროკავშირმა მუნიციპალიტეტს გადასცა გრანტი. ამ პროექტში ჩართულია ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, როგორც ავტორი, ასევე ლანჩხუთი, ჩოხატაური და ორი არასამთავრობო ორგანიზაცია - ჩვენ და „სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი“. როცა ეს კონკურსი გამოცხადდა, პირობა იყო სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლების თანამშრომლობა, იქნებოდა ეს თვითმმართველობა, არასამთავრობო სექტორი თუ ბიზნესი. უნდა მოენახათ საგანი, თემა რომლის გარშემოც ითანამშრომლებდნენ, შევიკრიბეთ არასამთავრობოები, მაშინდელი ადგილობრივი ხელისუფლება. როცა პირველი მონახაზი გავაკეთეთ, ამოსავალი წერტილი იყო ტურიზმი. ეს ის სფეროა, სადაც სხვადასხვა სექტორის წარმომადგენლებს გვაქვს გადაკვეთის წერტილი. ამ შემთხვევაში ერთნაირი ინტერესი აქვს ადგილობრივ თვითმმართველობას, არასამთავრობოებს, ბიზნესს და მედია ორგანიზაციებსაც. მთავარი მამოტივირებელი ამ პროექტის შეტანისა იყო ის, რომ როცა კვლევა ჩავატარეთ, ცენტრალური ხელისუფლების ყურადღება მეტწილად გადატანილი იყო სვანეთზე, კახეთსა და სხვა რეგიონებზე. გურია ტურიზმის კუთხით, მიუხედავად იმისა, რა პოტენციალიც გვაქვს, იყო სადღაც ბოლოში, ფაქტობრივად ტურისტულ რუკაზე არ ჩანდა. ჩვენი მიზანი იყო მოგვენიშნა გურია ტურისტულ რუკაზე. თუ დააკვირდებით, ტურიზმი 2015 წლის შემდეგ ერთერთი პრიორიტეტი გახდა ადგილობრივი ხელისუფლებისთვისაც. პროექტის მიზანიც ზუსტად ეს იყო. ყურადღება მიგვეპყრო ცენტრალური ხელისუფლების და ზოგადად ამ თემის პოპულარიზაცია მოგვეხდინა, ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი გამხდარიყო ტურიზმის მიმართულება ადგილობრივ დონეზე.

თქვენ მკითხეთ, რა უნდა გავაკეთოთ რომ განვითარდეს ტურიზმი? ამაზე ცალსახა, მარტივი პასუხი ვერ გაიცემა. იმპულსურად არაფერი არ ხდება. ყველაფერს ჭირდება გეგმაზომიერი მიდგომა. აუცილებელია კონკრეტული სტრატეგია შემუშავდეს. სტრატეგიული, გეგმაზომიერი მიდგომაა საჭირო. ჩვენი მიზანიც ეს იყო, შექმნილიყო, სხვადასხვა სფეროს მონაწილეობით, ჩართულობით სტრატეგიული გეგმა, როგორ განვითარდეს ტურიზმი გურიაში. ამას საფუძვლიანი კვლევა ჭირდება. რაღაც რომ დავგეგმოთ, პირველად უნდა ვნახოთ, რის პატრონები ვართ. ანუ გავაკეთოთ გარემოს ანალიზი, მაქსიმალურად მოვიპოვოთ ინფორმაცია. ამისკენ იყო მიმართული პროექტი, რომელიც გრძელდება და 2019 წელს დასრულდება. პროექტის ფარგლებში 35 სოფელში შეიქმნა ჯგუფები, მარკირება ხდებოდა ტურისტული ობიექტების, ტარდებოდა მოსახლეობის გამოკითხვა, ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზი გაკეთდა, რამდენიმე ექსპერტი ჩაერთო ამ ყველაფრის ანალიზში. გაიმართა სამუშაო შეხვედრები, გასული წლის ზაფხულში პოპულარიზაციის მიზნით ფესტივალი ჩატარდა სამივე მუნიციპალიტეტში.

დღეს იმ სტადიაზე ვართ, რომ სრატეგიულ გეგმაზე მუშაობა თითქმის დასრულებულია. ძალიან მალე ფართო საზოგადოებისთვის მოეწყობა საჯარო განხილვები. საბოლოო სახეს მიიღებს საჯარო განხილვებზე წინადადებებისა და შენიშვნების მოსმენის შემდეგ. საბოლოო სახის მიღების შემდეგ ეს იქნება სამივე მუნიციპალიტეტის პროდუქტი, სამოქმედო გეგმა როგორ უნდა განვითარდეს ტურიზმი. შემდეგ ლობირების საგნად ვაქციოთ ცენტრალურ ხელისუფლებასთან რომ სამოქმედო გეგმად აიღონ და გურიაში ტურიზმის მიმართულებით რასაც გააკეთებენ, სახელმძღვანელო დოკუმენტად ჰქონდეთ.

სხვათა შორის, ადგილობრივი ხელისუფლება აქტიურად და ძალიან ხარისხიანად აკეთებს ამ პროექტს. ევროკავშირმა წელს, როცა ახალი კონკურსი გამოაცხადა, მაგალითად გურია მოიყვანა. ეს იმას ნიშნავს რომ გურიამ მაღალი სტანდარტები დააკმაყოფილა, რასაც ევროკავშირი ითხოვს თავისი პროექტების განხორციელების დროს. რამდენიმე არჩევნები გადაიარა პროექტმა, მერიც შეიცვალა, მაგრამ ტურიზმი ისევ აქტუალური და პრიორიტეტული რჩება. ზუსტად ესაა ნიშანდობლივი. საზოგადოებამ ამ მიმართულებით აქტიურად დაიწყო ფიქრი. ჩვენ პროექტის ფარგლებში გამოვაცხადეთ კონკურსი მცირე გრანტებზე ადგილობრივი ინიციატივებისთვის, სადაც ადგილობრივებს ჰქონდათ შესაძლებლობა ტურისტული მიმართულებით პროექტები წარმოედგინათ. ეს შეიძლება ყოფილიყო ცნობიერების ამაღლება, ტურისტულად მიმზიდველი ადგილების გაჩენა ან არსებულის გამოსწორება. 70 პროექტი შემოვიდა გურიის მასშტაბით. საკმაოდ დიდი ციფრია, მერწმუნეთ. აქედან ოცდათხუთმეტს (საინიციატივო ჯგუფები, ფიზიკურ პირები, დარეგისტრირებული არასამთავრობოები) ძალიან მალე კონტრაქტებს გავუფორმებთ. ესეც არის იმის მაგალითი, რომ ძალიან ბევრი ადამიანის ინტერესი გაჩნდა.ეს სფერო უკვე იკრებს ძალას. ადამიანის გონებამდე დავიდა, რომ ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი მათი შემოსავლების ზრდისთვის. ყოველდღიურად ვაწყდებოდით უამრავი ადამიანის ინტერესს, რომლებიც კონსულტაციაზე მოდიოდნენ, კითხულობდნენ რა შეიძლება გაკეთდეს. ძალიან დიდი დაინტერესებაა საოჯახო სასტუმროების განვითარების კუთხით. ასე რომ, პროექტის მიზანი მიღწეულია, ცვლილება ხელშესახებია, შეიძლება ვერ ვთქვათ, რომ გარღვევა მოხდა, მაგრამ ფაქტია, რომ გურია ჩნდება ტურისტულ რუკაზე და, რაც მთავარია, საზოგადოების აზროვნება მოიმართა ამ კუთხით.

მიაყენებს თუ არა ზიანს გარემოს სოფელ დვაბზუს ასფალტ-ბეტონის ქარხანა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსულ განცხადებას სოფელ დვაბზუში ასფალტის ქარხნის აშენებასთან დაკავშირებით, საკრებულოს წევრები გამოეხმაურნენ.

განცხადებით, მოსახლეობის გარკვეული ნაწილი ასფალტ-ბეტონის ქარხანის ფუნქციონირებას აპროტესტებს. მათივე განცხადებით:„მსგავის ტიპის საწარმოს არსებობა შექმნის ეკოლოგიურ პრობლემებს, გარემოსა და მოსახლეობის მნიშვნელ ოვან ზიანს მიაყენებს“ .

საკითხის განხილვის მიზნით, განმცხადებლების მოთხოვნის შესაბამისად, გაიმართა ინფრასტრუქტურის კომისიის რიგგარეშე სხდომა, სოფელ დვაბზუსა და ცხემლისხიდის მაჟორიტარი დეპუტატების შემდეგ, კი ადგილზე, ქარხანაში, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გიორგი ღურჯუმელიძე, ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე მარიკა ჩხიკვიშვილი და მხარის გუბერნატორის მოადგილე არჩილ ყაზაიშვილიც იმყოფებოდნენ.

სოფელ დვაბზუში, შპს “**NEW ROAD**“-ის ასფალტ-ბეტონის ქარხანა რამდენიმე ხნის წინ აშენდა. პროექტის ღირებულება 10 მილიონი ლარია და ის „აწარმოე საქართველოს“ პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა. ქარხანაში 44 ადამიანია დასაქმებული.

როგორც ადგილობრივ ხელისუფლების წარმომადგენლებთან საუბარში ქარხნის გენერალური დირექტორი დავით ჟღენტი აღნიშნავს:

„ **new road**“-ის ასფალტბეტონის ქარხანა ერთ-ერთი უნიკალური საწარმოა კავკასიაში და ის აღჭურვილია უახლოესი გერმანული დანადგარებით. გვაქვს შესაბამისი სერტიფიკატებიც, რომლებიც ადასტურებს, რომ საწარმო არის უმაღლესი, ევროსტანდარტების შესაბამისი და არ ახდენს მავნე ზემოქმედებას“.

„ ეს არის 10 მილიონის ღირებულების პროექტი და მნიშვნელოვანი ინვესტიცია ჩვენს მუნიციპალიტეტში. ახალი სამუშაო ადგილების შექმნა და ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმება არის მისასალმებელი, ეს ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში ეკონომიკის წინსვლას. მნიშვნელოვანია თითოეული მაცხოვრებლის აზრი, ამიტომ კომისიის სხდომაზე, შემდეგ ადგილზე გავეცანით სიტუაციას. ვფიქრობთ, მსგავსი საკითხები კომპეტენტურმა პირებმა უნდა შეისწავლონ და კვალიფიციური განმარტებებიც მათ უნდა გააკეთონ, სწორედ ამის საფუძვლეზე უნდა მოხდეს ადგილობრივების სწორი ინფორმირება“ - აღნიშნეს საკრებულოს წევრებმა.

საკითხი შესაბამისმა სტრუქტურებმა მოიკვლიეს, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანებაში, რომლიც გამოქვეყნებულია, მათ შორის, მუნიციპალიტეტის საინფორმაციო დაფაზე, ნათქვამია:

„ საწარმოს ფუნქციონირების შედეგად , საპროექტო და მიმდებარე ტერიტორიის ატმოსფერულ ჰაერზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი.“ აქვე აღნიშნულია ხმაურის დონესთან დაკავშირებით: „ საწარმოს მაქსიმალური დატვირთვით ფუნქციონირების შემთხვევაში უახლოეს საცხოვრებელ სახლებთან ხმაურის დონე არ აღემატება 38დბა-ს." „ გრუნტის დაბინძურება კი მოსალოდნელია მხოლოდ გაუთვალისწინებელ და ავარიულ შემთხვევებში“ - აღნიშნულია მინისტრის ბრძანებაში, „შპს **New Road**-ის ასფალტის საწარმო და ინერტული მასალების სამხვრევ-დამხარისხებელი საწარმოს მოწყობისა და ექსპლოატაციის პროექტზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ.

საკრებულო და შესაბამისი დარგობრივი კომისია, მოსახლეობასთან უშუალო კომუნიკაციით სამომავლოდაც მიადევნებს თვალს აღნიშნულ საკითხს.

ძველი ოზურგეთის ქრონიკები

სამხატვრო სკოლა

„როდია მიქელაძე ნიჭიერი უაღრესი სათნოებითა და პატიოსნებით შემკული მხატვარი ქალია“, - კასტელი.

როდია მიქელაძე

„მამა აქ ძროხებია“, - ეს ცნობილი სიტყვები ესპანელ გოგონას ეკუთვნის, რომელიც ალტამირას გამოქვაბულის და საერთოდ, პრეისტორიული მხატვრობის პირველ აღმოჩენას უკავშირდება. მეცნიერებმა დღემდე ვერ დაადგინეს პრეისტორიული არტის დაბადების მიზეზები - რატომ დადგა უძველესი ადამიანი გამოქვაბულის ცარიელ კედელთან, როგორც დიდ სუფთა ფურცელთან და რატომ მოუნდა მასზე სხვადასხვა გამოსახულების დახატვა? ამ ამოუხსნელ ქცევას მეცნიერები ხან რელიგიური რიტუალების დაბადებას უკავშირებენ, ხან კომუნიკაციის საშუალებას. მეცნიერების გაკვირვებას იწვევს ის ფაქტი, რომ პალეოლითის (ძველი ქვის ხანა) ეპოქის მხატვრობაში ევოლუციისა და განვითარების კვალს ვერ ხვდებიან - უძველესმა ადამიანმა პირდაპირ შედევრების შექმნით დაიწყო პირველი ნაბიჯების გადადგმა. ნახატები სამ ფერშია შესრულებული, გამოყენებულია: ოხრა, ხის ნახშირი და რკინის ოქსიდის ჟანგი.

რაც შეეხება გურიას და ოზურგეთს, პირველი ცნობა ოზურგეთელი მხატვრების შესახებ დაცულია იტალიელ მისიონერ ქრისტოფორო დე კასტელთან (საქართველოში იმყობებოდა XVII საუკუნის პირველ ნახევარში, აქედან 8 წელი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ოზურგეთში). კასტელის ჩანახატები და ჩანაწერები დოკუმენტურად ავსებენ და აზუსტებენ საქართველოს მე-17-ე საუკუნის აქამდე უცნობ თუ ნაკლებად შესწავლილ ისტორიულ მოვლენებს და მას პირველწყაროს მნიშვნელობა ენიჭება, რადგან ამ პერიოდის სხვა ცნობები არ მოგვეპოვება.

პირველი ოზურგეთელი მხატვარი, რომლის შესახებაც ცნობამ ჩვენამდე მოაღწია, ეს გახლავთ როდია მიქელაძე, რომლის ჩანახატი გაკეთებული აქვს კასტელს. მხატვარ ქალს ერთ ხელში პალიტრა უჭირავს, მეორეში ფუნჯი. ამის შესახებ კი წერს: „როდია მიქელაძე ნიჭიერი, უაღრესი სათნოებით და პატიოსნებით შემკული მხატვარი ქალია“.

მეცხრამეტე საუკუნის ბოლოსა და მეოცე საუკუნის მოღვაწეა ცნობილი მხატვარი ივანე (ჩითან) გუგუნავა, რომელიც წარმოშობით ძიმითიდან იყო. სოფელ ბახვიდან იყო ცნობილი მხატვრები დიმიტრი შევარდნაძე და შალვა ქიქოძე, რომლებსაც განათლება საზღვარგარეთ ჰქონდათ მიღებული. დიმიტრი ოცდაჩვიდმეტი წლის რეპრესიების მსხვერპლი გახდა, შალვა სრულიად ახალგაზრდა გარდაიცვალა (მაშინ უკურნებელი სენითჭლექით) გერმანიაში , ფრაიბურგში. წარმოშობით სოფელ მაკვანეთიდან იყო ცნობილი გრაფიკოსი,,,ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციების უბადლო შემსრულებელი სერგო ქობულაძე. წარმოშობით ლიხაურიდან იყო მოსე თოიძე, ოზურგეთიდან იყო ცნობილი მხატვარი ლადო მალაზონია,რომელმაც მეოცე საუკუნის დასაწყისიდან მხატვრობის თემა ინტერიერიდან გადაიტანა ექსტერიერში. ოზურგეთის თეატრის მთავარი მხატვარი იყო შოთა დარჩია, ოზურგეთელი იყო ცნობილი ავანგარდისტი მხატვარი ოთარ ჩხარტიშვილი. თეატრისა და ოპერის მხატვარი მამია მალაზონია, გრაფიკოსი მხატვარი ნოდარ მალაზონია. სოფელ ბაღდადიდან იყო თანამედროვეობის უდიდესი მოქანდაკე მერაბ ბერძენიშვილი, მწერალი და ფერმწერი ელგუჯა ბერძენიშვილი. უნიჭიერესი მხატვარი იყო შოთა ლომაძე, რომლის ნამუშევრები ინახება ჩვენი მუზეუმის ფონდებში და სარესტავრაციოა. ანტონ გოგიაშვილი (გოგეშვილი), რომლის გრაფიკული ჩანახატები, ,,ძველი გურიას“ ფოტოასლები ინახება მუზეუმის ფონდებში.

ჩვენს ქალაქში ცხოვრობს და მოღვაწეობს უნიჭიერესი მხატვარი მარინე უჯმაჯურიძე, მის შემოქმედებაზე, როგორც არაკომპეტენტური ვერაფერს ვიტყვი, მისი ნახატები დიდ ესთეტიკურ სიამოვნებას მანიჭებენ.

ოზურგეთელია და ამჟამად ანკარაში მოღვაწეობს მხატვარი დავით უგრელიძე. ოზურგეთში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა კოლორიტი მხატვარი გერონტი ღლონტი.

უნდა აღინიშნოს, რომ დღეს ოზურგეთში მოღვაწე მხატვართა უმრავლესობას პირველადი სამხატვრო განათლება მიღებული აქვს ყოფილ პიონერთა და მოსწავლეთა სახლთან არსებული ხატვის სტუდიაში. პედაგოგებად მუშაობდნენ: ფერმწერი ,მხატვარი შოთა დარჩია, რომელიც იყო თეატრის მთავარი მხატვარი და პალალერულად ასწავლიდა ხატვის გაკვეთილებს; ფერმწერი ალექსანდრე მკურნალი, გრაფიკოსი გერონტი ღლონტი, **ვახტანგ მამეიშვილი** და სხვა.

ამ მდიდარ ტრადიციებზე აღზდილმა ვახტანგ მამეიშილმა ითავა ოზურგეთში სამხატვრო სკოლის გახსნა. აი,რა მიამბო ბატონმა ვახტანგმა:

,,1968 წელს დავამთავრე სამხატვრო აკადემია ,მქონდა შანსი, დავრჩენილიყავი თბილისში, მაგრამ გული ოზურგეთისაკენ მიწევდა. სოფელში მშობლები მოხუცებულები მყავდა, თანაც ვფიქრობდი, მეტი სარგებელი შემეძლო მომეტანა ჩემი კუთხისათვის, ყოველთვის მახსოვდა მამაჩემის შეგონება: ,,ადგილის დედას პატრონი ჭირდება,თორემ სოფელი თუ მოინგრევა, ქვეყანაც დაინგრევაო“. როდესაც ოზურგეთში ჩამოვედი, პიონერთა სახლში მიმიწვიეს სამხატვრო წრის ხელმძღვანელად .ადრე აქ ასწავლიდა ბატონი შოთა დარჩია, შემდეგ - გერონტი ღლონტი, ხელფასი 10 მანეთი მქონდა, მაგრამ ამისთვის ყურადღება არ მიიქცევია. ბავშვებთან მუშაობა მსიამოვნებდა პირველი მოსწავლეები იყვნენ მარინა უჯმაჯურიძე, ნატო ყალიჩავა, რამაზ მუავია, გელა ცეცხლაძე და სხვები. პიონერთა სახლი იდგა ახლანდელი ცენტრალური ბიბლიოთეკის ადგილზე.

ერთი წლის შემდეგ მივედი მაშინდელ რაიკომის მდივანთან საშა (ალექსანდრე) თოიძესთან და სამსახური ვთხოვე, ძალიან კარგად შემხვდა და ქალაქის საბჭოს თავმჯდომარესთან, ბატონ რენო ურუშაძესთან დარეკა, ის დაგასაქმებსო, მითხრა. დავინიშნე ქალაქის მთავარ მხატვრად, სახელოსნო არ მქონდა და ბატონმა რენომ მითხრა, სანამ გამოგიძებნი, აქ იყავი ჩემთან და რაც გვჭირდება, ერთად გავარკვიოთო, ჩემთვის რენოსთან მუშაობა საოცრად მიმზიდველი იყო, კომპლექსები არ აწუხებდა, ძალიან თავმდაბალი და მეგობრული იყო, ჯინსები ეცვა და ჯეკ ლონდონის პერსონაჟს ჰგავდა. მალე დავმეგობრდით, ერთად განვიხილავდით ქალაქის გაფორმების საკითხებს და ერთად ბევრი გავაკეთეთ ქალაქისათვის. გამაცნო ბევრი ცნობილი პიროვნება და ის იყო ცხოვრებაში ჩემი პირველი გზამკვლევი (ღმერთმა გაანათლოს მისი სული). მალე სახელოსნოც მომცა გოგებაშვილის ქუჩის დასაწყისში.

შემდეგ სამხატვრო აკადემია დაამთავრეს ჯემალ მიმინოშვილმა, ვასილ მჟავანაძემ და რევაზ ჯაშმა, ესენი მოვიწვიე სახელოსნოში და ერთად შევუდექით საქმიანობას. მათ გავუმხილე ჩემი გულისნადები სამხატვრო სკოლის გახსნის შესახებ. ნიჭი, ცენზი და შემართება ნამდვილად არ გვაკლდა და1973 წელს გავხსენით სამხატვრო სკოლა. მანამდე კი ბატონმა რენომ მოიწონა ჩემი წინადადება და რაიკომის მდივანთან გამგზავნა. ბატონმა საშამ მაშინვე დამიწერა მიმართვა კულტურის მინისტრ ოთარ თაქთაქიშვილთან. ბატონ ოთარს თბილისიდან ვიცნობდი, ოზურგეთში სკოლის გახსნის იდეა ძალიან მოეწონა, მაშინვე დაწერა ბრძანება სკოლის გახსნის შესახებ. ოზურგეთში ,,ფრთებშესხმული“დავბრუნდი და დავიწყე სკოლისთვის შენობის ძებნა. ამ დროს ჯემალ მიმინოშვილი და ვასო მჟავანაძე სახელოსნოს აშენებდნენ ექადიზე, ეკლესიის ქვემოთ, მდინარე ბჟუჟის პირას, ძალიან კარგ ადგილას. ეზოში ყოფილი დაწყებითი სკოლის შენობა იდგა ორი ოთახით. ადგილი ძალიან მომეწონა და ბატონ საშას ვთხოვე,გადმოეცა ჩვენთვის ეს შენობა, დამეთანხმა, მაგრამ შენობას გადაკეთება სჭირდებოდა სკოლის მოთხოვნების გათვალისწინებით. დროებით სახელმწიფო თეატრის სხვენზე გვათხოვეს დიდი სახელოსნო, რომელშიც თეატრის მთავარი მხატვარი, ბატონი შოთა დარჩია და მხატვარი მამია თუთაიშვილი დეკორაციებს აკეთებდნენ. სკოლამ ფუნქციონირება თეატრის სხვენზე დაიწყო. პირველად 20-25 მოსწავლე მივიღეთ და შევუდექით მათთვის ხელოვნების ანბანის სწავლებას. ამსობაში კულტურის განყოფილებაში დამიბარა კულტურის განყოფილების გამგემ, ბატონმა გივი თავაძემ და სიცილით მითხრა: სამხატვრო სკოლა ჩვენს დაქვემდებარებაშია და მე ხომ უნდა ვიცოდე,სკოლა თუ გაიხსნაო. მეც სიცილით მივუგე: თუ რამე დავაშავე, აგერ ვარ და მომხსენითმეთქი. ბატონი გივი დიდებული ადამიანი იყო, ყველაფერი შემასწავლა, როგორ მემუშავა .თბილისიდან ჩამოვიტანე დებულება და შევუდექით მუშაობას.

ყველგან და ყველაფერში ვგრძნობდი მხარდაჭერას. ერთი წლის შემდეგ ექადიაზე ჩაგვაბარეს გარემონტებული შენობა, გვქონდა გამოცდები და მერე მიღება.

ვმონაწილობდით გამოფენებში საკმაოდ წარმატებულად, მსოფლიო გამოფენებშიც მიგვიღია მონაწილეობა, საკავშირო და რესპუბლიკურშიც.

შემდგომ წლებში სკოლა გავაფართოვეთ, კონტიგენტი ყოველთვის იყო 80-100 მოსწავლე. ჩვენი სკოლადამთავებულები ეწყობოდნენ სამხატვო აკადემიაში ,არქიტექტურის ინსტიტუტში და სხვადასხვა ტექნიკუმებში. კავშირი გვქონდა კიევის სამხატვრო სკოლასთან. მოსკოვში გაზეთ ,,პრავდაში“ დაიწერა ჩვენი სკოლის შესახებ, მოსკოვიდან სპეციალურად მოავლინეს კორესპოდენტი.



ვახტანგ მამეიშვილი

სკოლის გახსნის დღიდანვე ვმონაწილეობდით მსოფლიო გამოფენებში. მოსწავლე ავთო თავართქილაძემ ოქროს მედალი მიიღო ინდოეთში ბავშვთა ნახატების გამოფენაზე, შემდგომში ეს წარმატება გაიმეორა პაატა ხინოიბიძემ და ა.შ. დასაწყისიდან თუკი ფერწერა, ხატვა,და ქანდაკება ისწავლებოდა, შემდეგ დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება, დიზაინი (მოდელირება) მივუმატეთ და პედაგოგებიც დავიმატეთ. პირველი პედაგოგები იყვნენ ჯემალ მიმინოშვილი, ვასო მჟავანაძე, რევაზ ჯაში და ვახტანგ მამეიშვილი (დირექტორი). შემდეგ შემოგვემატა: მამია მენაბდე, ნატო ყალიჩავა, მარინა ფხალაძე (მოდელიერი, ავთო ცქვიტინიძის პედაგოგი), გენადი მოლარიშვილი, მირანდა ვანიძე, ავთო თავართქილაძე, დავით შალიკაშვილი, ნინო კეშაყმაძე, მარინე ჩხარტიშვილი.

მოკლედ, ყველაფერი კარგად მიდიოდა და ეროვნული ხელისუფლების დამხობის შემდეგ ყველაფერი აირია. მიუხედავად იმისა,რომ სკოლა მოშორებით იყო ქალაქის ცენტრიდან,მოსწავლეები გაკვეთილს არ აცდენდნენ. მაშინ ექადიაზე ტროლეიბუსი დადიოდა, მოსწავლეებს არ უჭირდათ სკოლაში მოსვლა, შემდეგ უშუქობა, არეულობა, მხედრიონის თარეში, ყაჩაღობა, ქურდობა მოვლენების თანამდევი იყო. იძულებული გავხდით ისევ ქალაქში გადმოვსულიყავით ჯერ მეორე საშუალო სკოლაში, შემდეგ გალერეაში და კვლავ თეატრის სხვენზე, ამჟამად კინოთეატრის მეორე სართულზე (ყველაზე შესაფერისი ადგილი). ასე 18 წელია დავხეტიალობთ სხვადასხვა ადგილზე. ხელისუფლება იცვლება ასეთი წარმატებული სკოლა კი ყურადღების მიღმა რჩება. ჩერჩილს ომის დროს პარლამენტში უთხრეს: ,,იქნებ კულტურის ხარჯები ფრონტზე გადავისროლოთო“, ჩერჩილს უპასუხია: ,,აბა ჩვენ რისთვის ვიბრძვითო“. წინა ხელისულებისათვის ჩემი დირექტორობა მინცა და მინც მისაღები არ იყო და როცა შემისრულდა 65 წელი, შემახსენეს, დებულებით არ გეკუთვნისო, მაშინ, როცა 80 წლის ადამიანი მინისტრად დანიშნეს (ასე იყო ორმაგი სტანდარტი მაშინ). 45 წელია სამხატვრო სკოლაში ვმუშაობ და ასეთ ცუდ პირობებში ჯერ არ ვყოფილვართ. თუ ასეთ პირობებში მუშაობა და წარმატებების მიღწევა, პედაგოგების თავდაუზოგავი მუშაობის შედეგია, წარმოიდგინეთ, კარგ პირობებში რა წარმატებები ექნებათ მოსწავლეებს. ასევე არ შეიძლება, არ ავღნიშნო ჩემი გულისტკივილი:ჩვენი ხელფასები გათანაბრებული იყო საჯარო სკოლის პედაგოგების ხელფასთან ,როცა მათ სამჯერ გაეზარდათ ხელფასები, ჩვენ ისევ იმ ხელფასებზე ვართ და კიდევ არის საშიშროება,რაღაც რეფორმებს შეეწიროს სამხატვრო სკოლა. არადა, როგორ ვოცნებობდი, არა მხოლოდ სამხატვრო სკოლის, არამედ სამხატვრო კოლეჯის გახსნაზე გურიის რეგიონში.“

თამაზ დარჩია, სამხატვრო სკოლის პედაგოგი, გურიის მხატვართა კავშირის თავმჯდომარე: ,,1985 წლიდან ვასწავლი სამხატვრო სკოლაში, მაშინ ჩვენი სკოლა ექადიაზე იყო, რომელიც ვახტანგ მამეიშვილმა,რეზო ჯაშმა, ვასილ მჟავანაძემ და ჯემალ მიმინოშვილმა შექმნეს, სწავლების კლასკაბინეტური სისტემა გვქონდა, სპეციალობის მიხედვით ვაწავლიდით. მე ვიყავი ქანდაკების ჯგუფში ხატვის პედაგოგი, მოქანდაკე ვასილ მჟავანაძესა და ჯემალ მიმინოშვილთან ერთად.

2006 წლიდან სამხატვრო სკოლას ხელმძღვანელობს ბატონი კახა ვასაძე. მიუხედავად მატერიალურ-ტექნიკური ბაზის არქონისა და სამუშაო პირობების მძიმე მდგომარეობისა, სკოლის თავკაცისა და პედაგოგების სასახელოდ უნდა ითქვას ,რომ ტრადიცია გრძელდება. სკოლის მოსწავლეები აქტიურ მონაწილეობენ საერთაშორისო, რესპუბლიკურ და ადგილობრივ გამოფენებში, მრავალ ღონისძიებაში. საილუსტრაციოდ მოვიყვან რამდენიმე მაგალითს: 2013 წლის 5 მარტს სკოლის მოსწავლეთა ნამუშევრები გაგზავნა ჩეხეთში, ქლიდიცეში სახვითი ხელოვნების 41-ე საერთაშორისო გამოფენაზე-,,ლიდიცე 2013“-ში .ამავე წლის 8 მარტს ოზურგეთის სახვითი ხელოვნების ცენტრში გაიმართა ოზურგეთელი ქალბატონების პერსონალური გამოფენა, მათ შორის გამოიფინა სამხატვრო სკოლის მე-6 კლასის წარმატებული მოსწავლის მრავალი კონკურსების და გაფენების მონაწილის ნინო გოგუაძის გამოფენა. ამავე წელს სტუდენტურ-ახალგაზრდული სათათბიროს ,,ევროკლუბმა“ პოლონელ მოხალისეებთან ერთად განახორციელა პროექტები:1) ანტიკური სპერძნეთის და კოლხეთის არქეოლოგიური კერამიკული ჭურჭლის ნიმუშების იმპროვიზაცია; 2) თამაში - ,,არქეოლოგიური გათხრები“ განხორციელდა კულტურისა და დასვენების პარკში; 3) გურიის მატერიალურ- კულტურული ძეგლების (ეკლესია-მონასტრების) გაცნობა და ასლების გადმოხატვა ბუკლეტიდან ,,გურია-რაც დროს გადაურჩა“; 4)ოზურგეთის ისტორიულ მუზეუმში დაცული გურიის ისტორიული და არგეოლოგიური ძეგლების დეტალების გაცნობა-დახატვა. კონკურსში გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ სხვადასხვა პრიზებით, ჩამონათვალი ძალიან დიდია, საინტერესო ღონისძიებითაა დახუნძლული 2018 წლის ოზუგეთის სამხატვო სკოლის ღონისძიებათა გეგმა .წარმატებები მინდა ვუსურვო სკოლას და მის მესვეურებს“.

ვანანა ლომაძე,

ოზურგეთის სამუზეუმო

გაერთიანების ფონდების მთავარი

მცველი.

გოგა ჭიხვარია ისრაელის ღია ჩემპიონატის გამარჯვებულია

1 ივლისს ისრაელმა ისრაელის ღია ეროვნულ ჩემპიონატს უმასპინძლა მძლეოსნობაში (დიდები), რომელშიც მონაწილეობა მიიღო საქართველოს ნაკრების წევრმა, ა(ა)იპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სპორტულ-გამჯანსაღებელ დაწესებულებათა გაერთიანების მძლეოსანმა **გოგა ჭიხვარიამ.** მწვრთნელები – კოტრიკაძე, ნატროშვილი. იღებდა მონაწილეობას უროს ტყორცნაში (7კგ).

გოგამ წარმატებით ასპარეზა და უროს (7კგ) ტყორცნაში ჩემპიონის ტიტული და ოქროს მედალი მოიპოვა. გამარჯვებული ოზურგეთელი მძლეოსანის საპატივცემულოდ ისრაელში საქართველოს ჰიმნი აჟღერდა.

ვულოცავთ გოგას ამ წარმატებას და კვლავ წარმატებებს ვუსურვებთ.

შეიქმნება თუ არა შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭო ოზურგეთში?

ალიონი. საია-ს ოზურგეთის ოფისში მშობელთა კავშირ „ჩვენი ბავშვების“ ინიციატივით შეხვედრა გაიმართა, სადაც ოზურგეთის მუნიციპალიტეტთან მერიასთან სათათბირო ორგანოს შშმ-პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს შექმნის მიზანშეწონილების შესახებ იმსჯელეს.

ამ თემაზე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის, არასამთავრობო ორგანიზაციების და მედიასშუალებების წარმომადგენლებს თავისი პოზიცია გააცნო არასამთავრობო ორგანიზაცია მაკლეინის ასოციაცია ბავშვებისთვის (**MAC GEORGIA**) წარმომადგენელმა ლიანა ჯანაიამ.

– ჩვენ გახლავართ არაკომერციული ორგანიზაცია, რომლის მიზანია, მიაწოდოს მომსახურება, რესურსები და ტექნიკური დახმარება საქართველოში მყოფ მოწყვლად ჯგუფებს. ჩვენი ინფორმაციით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში სოფლად 30 წლამდე 1616 შშმ პირია. მიზნად ვისახავთ თვითმმართველობის საქმიანობაში შშმ პირების სამოქალაქო ჩართულობის გააქტიურებას, მათ თვითმმართველობასთან თანამშრომლობას და ერთობლივი პროექტების განხორციელებას. გვაქვს მაგალითები, კერძოდ ქ. თბილისის მერმა კახა კალაძემ მერიასთან შექმნა შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭო. მსგავსი საბჭოები შექმნეს გურჯაანისა და სხვა მუნიციპალიტეტებმა– განაცხადა მან.

– 2016 წელს შევქმენით მშობელთა კავშირი „ჩვენი ბავშვები,“სადაც დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებზე დავიწყეთ ზრუნვა.. ამჟამად ვმუშაობთ შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალიტეტის მერიის ადგილობრივი საბჭოს შესაქმნელად. საბჭოში შევლენ შშმ პირები, მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის წარმომადგენლები, შშმ პირების საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლები. ჯერჯერობით მუნიციპალიტეტის მერია უყურადღებობას იჩენს საბჭოს შექმნის ინიციატივის მიმართ – აღნიშნა „ჩვენი ბავშვების“ დამფუძნებელმა ნინო ჭელიძემ.

– საბჭო მუნიციპალიტეტის მერიასთან უნდა შეიქმნას, საკრებულოს წარმომადგენლები საბჭოს წევრები იქნებიან –განაცხადა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გიორგი ღურჯუმელიძემ.

საბჭოს შექმნასთან დაკავშირებით თავიანთი პოზიციები დააფიქსირეს: საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ლელა საჯაიამ; მერიის სოციალურ და ჯანდაცვის საკითხთა სამსახურის უფროსმა თამარ დუმბაძემ, ახალგაზრდა საია-ს ოზურგეთის ოფისის ხელმძღვანელმა თამაზ ტრაპაიძემ, სდგკ-ს ხელმძღვანელმა ლევან ხინთიბიძემ, „ჩვენი შვილების“ წარმომადგენელმა ვალერიან კოტრიკაძემ.

შეხვედრაზე გარკვეული კრიტიკაც გაისმა. სოფელ შრომის №1 და №2 სბავშვო ბაღების მისამართით: „ჩვენი ბავშვების“ სახელზე სოფელ შრომიდან მშობლებმა მოგვმართეს. ისინი ჩვენგან დახმარებას ითხოვდნენ. ხსენებული სბავშვო ბაღის მენეჯერებმა უარი უთხრეს ი. ა-ს და ს.ხ-ს მშობლებს სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვების ბაღში შეყვანასთან დაკავშირებით“. „ალიონი“ ამ თემაზე ა (ა)იპ ოზურგეთის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის უფროსს **მაკა ჭყონიას** გაესაუბრა: –ასეთ ბავშვებს ბაღში მიღებაზე უარს არ ვეუბნებით. ვითხოვთ ჯანმრთელობის ცნობას, შემდეგ უნდა შეირჩეს სპეცმასწავლებელი. ვცდილობთ, შესაბამისი ადგილობრივი კადრი მოვამზადოთ, ინკლუზიური განათლების საკითხებზე მომუშავე პედაგოგების გადამზადებაში დახმარება ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირს შეუძლია. თქვენ მიერ დასახელებულ ბავშვებს ახალი სასწავლო წლიდან სოფელ შრომის სბავშვო ბაღები მიიღებს,– გვითხრა მაკა ჭყონიამ.

სკანვორდი



№ 27-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე – დიმიტრი შოსტაკოვიჩი; ჩქარის ანტიპოდი – ნელი; კავშირგამბულობის ტერმინი – ალო; მთის მკვრივი ქანი – კლდე; ქოფაკი – ავი; ლვთისმეტყველი – მერჩული; წინსართი – ი; სამანი ნარდში – სე; ყამირი – უშალი; ინტერნეტპორტალი – იუუმი; მეწისქვილე რომ იტოვებს – მინდი; ბელგიური ნგაზი – ტერვიური; ელექტროხელსაწყო – რელე; თარო ფანჯრის ჩარჩოზე – რაფა; „მერანის“ ავტორი – ტატო; უძარღვო ხორცი – ჩიჩა; თბილისური ჟარგონი – ტო; ანგელოზის სასუფეველი – ზესკნელი; ერთგვარი ნამცხვარი – შუ; სკივრი – ლუსკუმა; მარცვლეული კულტურა – სიმინდი; მინდვრის ყვავილი – სპოონელა; მე-3 პირის ნაცვალსახელი – იგი; მსუბუქი ლითონი – ალუმინი; ნაბიჯი ცეკვაში – პა; კუნძული საბერძნეთში – კრეტა; ბრაზილიელი ფეხბურთელი – რივა; მოუხარშავი – უმი; ჭაობში გასასვლელი მოწყობილობა – ოჩოფეხა; ანდერძის წიგნი – დიათიკა; მდელოს მეწყვილე – მამრი; ქალის სახელი – ვიოლეტა; ბებერი მსარე საქართველოში – ტაო; საკრავი ინსტრუმენტი – საარი; მაჰმადიანთა სასულიერო სასწავლებელი – მედრესე; გიორგი ლეონიძე – გოგლა; პატარა ბავშვი – ბაია; ლიანდაგის რკინა – რელსი; „კანდელაკი – თიკა; მუსიკალური საკრავი ჩანგი; ქრთამი – სათაგნო; თვითმფრინავის სადგომი – ანგარი.

ქალაქი ოზურგეთი

სატახტო ვარდანისძე გურიელებისა

გაგრძელება, დასაწყისი იხილეთ გაზეთი „ალიონი“ №1-8,11,15-27

რუბრიკას უძღვება მანანა მემარნიშვილი
ოზურგეთის ისტორიული მუზეუმის თანამშრომელი



დუმბაძის მიერ ბაქრაძისადმი მიწოდებული ცნობების თანახმად, „შანთი და მდუღარე საქართველოში გავრცელებული საშუალება იყო, მხოლოდ სერიოზული დანაშაულის - მკვლელობის, ტყვის გაყიდვისა და სხვათა - გამოსამჟღავნებლად. ბრალდებულის ნება იყო შანთს აირჩევდა თუ მდუღარეს. გამოცდის ამბავს წინასწარ მოახსენებდნენ მთავარს, ხოლო შემდეგ შეუდგებოდნენ თვით პროცესს. ბრალდებულს მისი მოძღვარი ზეთს უკურთხებდა. ესწრებოდა მის შვიდდღიან ლოცვას და აღსარებას ათქმევინებდა. თუ აღსარებისას იგი დანაშაულში გამოუტყდებოდა, გამოცდა, რა თქმა უნდა, ზედმეტი იყო და დამნაშავე ისჯებოდა, მაგრამ თუ არ აღიარებდა, მაშინ ნიშნავდნენ გამოცდის ადგილს, მეტწილად იქ, სადაც იმჟამად მთავარი იმყოფებოდა: ოზურგეთში, შემოქმედში ან დვაბზუში.

გამოცდას ესწრებოდნენ თუ მთავარი არა, ყოველ შემთხვევაში, თანამდებობის პირნი: მდივანბეგი, სახლთუხუცესი და ბოქაულთ-უხუცესი.

შანთი (გამოსაცდელი) 1 ოყას - 3 გირვანქას იწონიდა. სიგრძით 7 გოჯი იყო, სიგანით – კაცის ხელისგულის ოდენა. შანთს სამჯერ გაახურებდნენ ვაზის და არა სხვა ნაკვერჩხალზე. მაშით დადებდნენ მიწაში ჩასობილ ორ ბოძზე, ბრალდებულს ხელზე ჩამოაცმევდნენ ქაღალდის ფურცელს, რომელზეც ეწერა შემდეგი ფორმულა:

„ღმერთო, მამაო ღმერთო, ძეო და ღმერთო, სული წმიდაო, თუ მართალი ვიყო ამ რკინის ცეცხლიდან უვნებელი გამომიყვანე თუ არა და დაიწვას ხელი ჩემი“.(ამის შემდეგ ბრალდებული იღებდა შანთსსამჯერ და შემდეგ დააგდებდა. ამის შემდეგ მას აცმევდნენ გურიელის ბეჭედდასმულ სუდარას და მიჰყავდათ ერთ-ერთ მახლობელ ციხე-სიმაგრეში, სადაც მას განსაზღვრული დროით ამყოფებდნენ საზოგადოების ხარჯზე, ვადის გასვლის შემდეგ გაუსინჯავდნენ ხელს და თუ დამწვარი აღმოაჩნდებოდა, დამნაშავედ თვლიდნენ და მართლმსაჯულებას გადასცემდნენ, თუ არა, უდანაშაულოდ გამოაცხადებდნენ და სანუგეშებლად გურიელისა და თანამდებობის პირთა ხარჯზე ასაჩუქრებდნენ თოფით, ტანსაცმლით და სხვა საჭირო ნივთებით. არავის მიაჩნდა ამგვარი გამოცდის უტყუარობა... ამ წესით ყოველთვის მჟღავნდებოდა დამნაშავე და მართლდებოდა უდანაშაულო. მე თვითონ ბევრჯერ ვყოფილვარ იმის მოწმე, რომ მართალი კაცის ხელი უვნებელი დარჩენილა.

გიორგი დუმბაძის ამ მონათხრობის შემდეგ დიმიტრი ბაქრაძე აღნიშნავს: „მე შესაძლებლობა მომეცა მეშოვა ერთ-ერთი... (ასეთი) ფურცელი ქაღალდი, რომელიც გამოცდის დროს უხმარიათ: მას მართლაც აქვს ნახვრეტი ხელზე ჩამოსაცმელად და ატყვია შანთის კვალი. ამ ფურცელზე გადმოცემული ფორმულა, რომელიც რამდენადმე ჰგავს ვახტანგ VI-ის სჯულდების მე -7 მუხლში გადმოცემულ ფორმულას, შეიცავს მთელ საბრალდებო აქტს ბრალდებულის დანაშაულის რაობისა და თვითონ ბრალდებულის გიორგი თაყაიშვილის მითითებით. რომელიც, როგორც ქაღალდის მეორე გვერდი გვიჩვენებს, 1811 წელს ცხოვრობდა. ამ ქაღალდის შინაარსი ასეთია:

„სასწორო და სამართალო: ღმერთო: მამაო: ღმერთო ძეო: ღმერთო სულთ წმიდაო: ღმერთო მფარველო აბდურასმან ქათამიძე:

მე გიორგი თაყაიშვილი მეწამება იორდანე ლომჯარია და მისი ცოლ-შვილი. შენი სიტყვით და საქმობით თათრებმა შეიპყრეს თუ იორდანე ლომჯარია და მისი ცოლ-შვილი ჩემი სიტყვით და საქმობით მოთხრილიყოს იორდანე ლომჯარია და მისი ცოლ-შვილი; გამამრთელე და ამ რკინის ცეცხლიდან უვნებელი გამომიყვანე და სხვას ცოდვას ამაში ნუ მკითხავ, სწორ მოყვარებელი სამართალი გამოაცხადე ჩემს ცოდვის თავზე... უფალო ამინ“.

მთავრის გურიელის შემდგომ როგორც ქალაქ ოზურგეთის, ასევე გურიის ერთიან ცხოვრებაში სასამართლო წარმოების ფუნქცია მთავრის მიერ დანიშნულ მდივანბეგს ეკისრებოდა.

„მდივანბეგების ერთი ნაწილი საგანგებოდ ქალაქებში მოსამართლეობდა. მათ ქალაქის მდივანბეგები ეწოდებოდა. საქართველოში ქალაქის მდივანბეგის თანამდებობა XVII მეორე ნახევარში შაჰნავაზ ვახტანგ მეხუთის დროს მოიხსენიება... მდივანბეგები ქალაქში მხოლოდ სისხლის სამართლის საქმეებს არჩევდნენ... მდივანბეგს შეეძლო გაერჩია არა მარტო მოქალაქისა და გარეშე კაცის საჩივარი, არამედ თვით მოქალაქეებისა, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მოქალაქენი თვითვე მოისურვებდნენ, რომ მათი საქმეები მდივანბეგს გაერჩია... ქალაქის სამართლის წარმოებისათვის მნიშვნელოვან სარგოს იღებდნენ, რომელსაც „სამდივანბეგო“ ეწოდებოდა.

ოზურგეთის მდივანბეგთაგან გვიან ფეოდალურ ხანაში მამია მეხუთე გურიელის ზეობაში ცნობილნი არიან სვიმონ გუგუნავა და გიორგი ერისთავი. დიმიტრი ბაქრაძე მათ შესახებ აღნიშნავს:

„გურიის მდივანბეგის - სვიმონ გუგუნავასა და გიორგი ერისთავის განჩინებათა ოქმები ამ უკანასკნელი შვილის დათო ერისთავის სახლში ვიპოვე გასაუქმებლად გამზადებულ ძველმანებში. ზოგი ოქმი დაწერილია სრული თაბახის ფორმატის ლურჯ, ზოგიც რუხ ქაღალდზე და განეკუთვნება 1818 წლის ივლისს, აგვისტოს, სექტემბერს, ოქტომბერს ნოემბერსა და დეკემბერს, ხოლო მცირე ნაწილი 1822 წლის აგვისტოს.

ყოველი ოქმი დათარიღებულია იმ რიცხვით, როცა შეადგინეს. მათ ახლავს თვითონ მდივანბეგების სვიმონ გოგუნავასა და გიორგი ერისთავის ხელმოწერა. ერთ ოქმს ხელს აწერს (აგრეთვე) მდივანბეგი ბეჟან გუგუნავა. მათი განჩინებანი საინტერესოა როგორც ფორმით, ისე შინაარსითაც, მათში სხვათაშორის, ნათლად ჩანს ხალხის უმთავრესი მიდრეკილება, მისი ჩვეულებრივი გადაცდომა და დანაშაული.

სულ ცნობილია ზემოხსენებულ ოზურგეთის მდივანბეგთა მიერ ხელმოწერილი შემდეგი ოქმები:

განჩინება ოთარი კალანდარიშვილისა და გოგითაანთ ჩხარტიშვილის საქმეზე - 1818 წლის 13 ივნისი.

განჩინება ბასილა ჟღენტისა და სვიმონა ჩანტლაძის საქმეზე, 1818 წლის 17 ივნისი.

განჩინება ბიჭია შალიკაშვილისა და მაქსიმე ქიქოძის საქმეზე, 1818 წლის 19 ივნისი.

განჩინება იოსებ არხიმანდრიტისა და ბერია ჟორდანიას ყმის საქმეზე, 1818 წელის 19 ივნისი.

განჩინება გოგიელა მათითაშვილისა და ხახუტა გვარჯალაძის საქმეზე, 1818 წლის 18 ივნისი.

განჩინება აკოფა მეფარიშვილისა და მაქსიმე ჟღენტის ცხენის საქმეზე, 1818 წლის 26 ივნისი.

განჩინება ივანე ჟღენტისა და იოანე ვაშალომიძის საქმეზე, 1818 წლის 26 ივნისი.

განჩინება კანდელაკებისა და გოგიტა ხავთასის საქმეზე, 1818 წლის 13 ივნისი,

განჩინება გაბრიელ და მახარობელ ჩხაიძეების საქონლის საქმეზე, 1818 წლის 18 ივლისი,

განჩინება იოვანე ნაკაშიძისა და ონისიმე მეფარიძეს ყმის საქმეზე, 1818 წლის 19 ივლისს.

განჩინება ხუტუ ღლონტისა და პაატა მეჯინიბის შვილის მამულის საქმეზე, 1818 წლის 18 ივლისი.

განჩინება გიორგი და ლევან თავართქილაძეებისა ყმის საქმეზე, 18-18 წლის 13 ივლისი.

განჩინება ქაიხოსრო სეხნიაშვილის და ოთარ გიგიბერიძის საქმეზე, 1818 წლის 22 ივლისი.

განჩინება იესე ოთხმეზურისა და გოგია გორგოშიძის სასისხლო საქმეზე, 1818 წლის 25 ივლისი.

განჩინება პეტრე ბოლქვაძისა და პეტრე მიქანაძის ვალის საქმეზე, 1818 წლის 26 ივლისი.

განჩინება ბუჭუ კვაშალისა და ნიკოლოზა გირკელიძის საქმეზე, 1818 წლის 7 სექტემბერი.

განჩინება ისტიანე ჭყონიასა და ოსიკა ჯორბენაძის სასისხლო საქმეზე, 1818 წლის 12 სექტემბერი.

განჩინება ისხრაკა ურიისა და ებრალიძის ცხენის საქმეზე, 1818 წლის 13 სექტემბერს.

განჩინება მანუჩარ ჭყონიასა და სისონიკა მელიას ცხენის საქმეზე, 1818 წლის 13 სექტემბერი.

განჩინება პაატა გოგიბერიძისა და ხახუტა ღლონტის ცხენის საქმეზე, 1818 წლის 30 სექტემბერი.

განჩინება როსტომ ბოლქვაძისა და სიმონა სიამაშვილის მოახლის საქმეზე, 1818 წლის 6 ოქტომბერი.

განჩინება ნიკოლოზ კობალაძისა და იესე ქავჯარაძის საქმეზე, 1818 წლის 12 ოქტომბერი.

განჩინება გოგია ხუხუნაიშვილისა და თოხაძის საქმეზე, 1818 წლის 26 ოქტომბერს.

განჩინება ბეჟან ბერიძისა და ზურაბ თავზარაშვილის საქმეზე 18-18 წლის 12 ნოემბერი.

განჩინება ბაზიერ ივანესა და გიორგი ღლონტის ცხენის საქმეზე, 1818 წლის 18 ნოემბერი.

განჩინება ანანია ქიქოძისა და გიორგი ხუხუნაიშვილის მამულის საქმეზე 1818 წლის 17 ნოემბერი.

განჩინება იოსებ არხიმანდიტრისა და ივანე ჭყონიას საქმეზე 1818 წლის 20 ნოემბერი.

განჩინება ივანე კანდელაკისა და იესე ჯიჯიეშვილის ყმის საქმეზე, 1818 წლის 25 ნოემბერი.

განჩინება დავით ამაღლებლისა და ლაზარე ქილიფთარის მოახლის საქმეზე, 1818 წლის 27 ნოემბერი.

განჩინება სიმონა და ნიკოლოზ ასკურაკების საქმეზე, 1818 წლის 16 დეკემბერი.

განჩინება უჯმაჯურიძეთა ყმა-მამულისა სასისხლო საქმეზე, 1822 წლის 8 აგვისტო.

განჩინება დავითელა და იოსელა კეკელიძის საქმეზე, 1822 წლის 9 აგვისტო.

განჩინება იესე რამიშვილისა და ივანე ჩანტლაძის საქმეზე, 1822 წლის 10 აგვისტო.

განჩინება ესიკა ბერიძისა და გოგილა რამიშვილის სასისხლო საქმეზე, 1822 წლის 11 აგვისტო.

განჩინება ივანიკა რამიშვილისა და გოგიტელა შათარიშვილის სა-ქმეზე, 1822 წლის 11 აგვისტო.

განჩინება იესე ოთიეშვილისა და გაბრიელ გიორგიშვილის მამულის საქმეზე, 1822 წლის 12 აგვისტო.

განჩინება ბეჟანისა და ონისიმას სასისხლო საქმეზე 1822 წლის...

(გაგრძელება იქნება)

ენვერ გოგუაძე

სპორტი

ბათუმის ღია პირველობაზე კარატეში

2-4 ივლისს, ქ. ბათუმში ჩატარდა ბათუმის ღია პირველობა კარატეში, რომელშიც მონაწილეობდნენ რუსეთის, ბელორუსის, ყაზახეთის, ირანის, აზერბაიჯანის, თურქეთის, უკრაინისა და საქართველოს გუნდები.

16-17 წლამდე ასაკში –68 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში, ფინალში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ოზურგეთელები გიორგი მამინაშვილი და ნიკუშა დარჩია. გამარჯვება გიორგი მამინაშვილმა მოიპოვა (მწვრთნელი შოთა ღლონტი).

ოზურგეთელი ძიუდოისტების წარმატება

7-8 ივლისს ქალაქ ბათუმში ჩატარდა სოლომონ ფეიქრიშვილის სახელობის საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში 2005-2006 წლებში დაბადებულთა შორის. მონაწილეობდა თურქეთის, აზერბაიჯანის, სომხეთის და საქართველოს გუნდები. აღნიშნულ ღონისძიებაში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სპორტულ-გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა გაერთიანების ნაკრები გუნდიდან მეორე საპრიზო ადგილზე გავიდნენ:

- 50 კგ წონით კატეგორიაში - საბა ცეცხლაძე, მწვრთნელი - დავით ჩიკაშუა;
- 55 კგ წონით კატეგორიაში - რეზო ბოლქვაძე, მწვრთნელი - გოჩა ბურჭულაძე.

მესამე ადგილზე გამოვიდნენ:

- 42 კგ წონით კატეგორიაში - საბა თურმანიძე, მწვრთნელი - გოჩა ბურჭულაძე;
- 73 კგ წონით კატეგორიაში - დავით პაიჭაძე, მწვრთნელი - დავით ჩიკაშუა.

კიკ-ბოქსინგი - საპონჯიანის მესამე ადგილი

8-10 ივლისს ქალაქ ბათუმში ჩატარდა რესპუბლიკური ტურნირი „შავი ზღვის თასი“ კიკ-ბოქსინგში. მონაწილეობდა საქართველოს რეგიონებისა და ქალაქების გუნდები. აღნიშნულ ღონისძიებაში ოზურგეთის ნაკრები გუნდის წევრმა ედუარდ საპონჯიანმა დიდებში, 63 კგ წონით კატეგორიაში მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა. მწვრთნელი - ლაშა ჭეფხოძე.

გიორგი სალუქვაძის სახელობის IX საერთაშორისო ფოლკლორის ფესტივალი

ალიონი. 6 ივლისიდან 3 დღის განმავლობაში მიმდინარეობდა ცნობილი ლოტბარისა და საზოგადო მოღვაწის გიორგი სალუქვაძის მე-9 საერთაშორისო კონკურს - ფესტივალი,რომელშიც სლოვაკეთის, უკრაინის, ბელორუსის, ესტონეთის, ლიეტუვას (ლიტვის), ლატვიის, საქართველოს არაერთი ცნობილი ქორეოგრაფიული ანსამბლი მონაწილეობდა.

6 ივლისს საერთაშორისო კონკურს-ფესტივალი დაბა ურეკის კულტურის სახლში გაიხსნა, სადაც უცხოელი და საქართველოს რეგიონების ანსამბლების მონაწილეობით კონცერტი გაიმართა.

მომდევნო დღეს ფესტივალის მონაწილეებმა, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა ყვავილების გვირგვინით შეამკეს გიორგი სალუქვაძის გორელიეფი.

სოფელ ცხემლისხიდში, გიორგი სალუქვაძის სახელობის სახლ-მუზეუმში გაიმართა სტუმართა საზეიმო მიღება. სტუმრებს თავიანთი ხელოვნება უჩვენეს ანსამბლმა „იადონმა“ და ცნობილმა მოცეკვავემ და ქორეოგრაფმა ვაჟა ახვლედიანმა.

სტუმრებს მიესალმნენ: ოზურგეთის ფოკლორის ცენტრის ხელმძღვანელი **ავთანდილ სურგულაძე**, გიორგი სალუქვაძის ვაჟი **გულია სალუქვაძე**, გურიის მხარის გუბერნატორის მოადგილე **არჩილ ყაზაიშვილი,** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე **ირაკლი სირაძე.** შემდეგ სტუმრება მასპინძლებს აჩვენეს თავიანთი ხელოვნება.

სტუმრებს საშუალება ჰქონდათ სახლ-მუზეუმის ეზოში, სამზადში გურულ სამზარეულოს გაეცნობოდნენ.

– მაქვს პატივი მოგესალმოთ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის სახელით და მადლობა გადაგიხადოთ ჩვენთვის ამ მეტად მნიშვნელოვან ღონისძიებაში მონაწილეობისა და მხარდაჭერისთვის. ოზურგეთი ყოველთვის იყო გურიაში კულტურული ცხოვრების ცენტრი და სასიხარულოა, რომ ეს ტრადიცია დღესაც გრძელდება. ჩვენ ვართ ამყები, რომ უკვე მე-9 წელია ვმასპინძლობთ გიორგი სალუქვაძის სახელობის ფოლკლორის საერთაშორისო კონკურს-ფესტივალს. გიორგი სალუქვაძე იყო ქართული ფოლკლორის ქომაგი, ლოტბარი, მომღერალი, ქორეოგრაფი, ინჟინერი, საქართველოს სახალხო არტისტი და ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე,“- აღნიშნა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე **ირაკლი სირაძემ.**

გიორგი სალუქვაძის სახელობის ფოლკლორის მე-9 საერთაშორისო კონკურს-ფესტივალი მონაწილეთა საზეიმო აღლუმითა და გრანდიოზული გალა-კონცერტით დაიხურა.

კონკურს-ფესტივალში ესტონეთის, ლიეტუვას, ლატვიის, ბელორუსიის, უკრაინის, სლოვაკეთის, ასევე საქართველოს რეგიონების ქორეოგრაფიული ანსამბლები მონაწილეობდნენ.

გიორგი სალუქვაძის სახელობის გრან-პრის მფლობელები გახდნენ: ქორეოგრაფიული ანსამბლი „**Подолянчик,**“ უკრაინა; სტუდია „**Зиогас**“ გოგონების კვარტეტი "**Loud Silence**" ლიტუა; ქორეოგრაფიული ანსამბლი „ფაზისი“ ფოთი; ქორეოგრაფიული ანსამბლი „ფაზისი“ თბილისი.

ფესტივალის მონაწილეები პირველი და მეორე ხარისხის დიპლომებით და სხვადასხვა პრიზებით დაჯილდოვდნენ.

ფესტივალის დღეებში საშუალება გვქონდა გასაუბრებოდით სტუმრებს, ბალტიისპირელები, უკრაინელები, სლოვაკები, ბელორუსები თავიანთ კმაყოფილებას ვერ მალავდნენ.

ალიონა ბულობინა, ინჟინერი, ქ. ბარანოვიჩი, ბელორუსია: – პირველად ვარ საქართველოში. ქორეოგრაფიულ ანსამბლში ჩემი ქალიშვილი გამოდის. ქობულეთში, ზღვისპირას დავბინავდით. სამი დღეა ოზურგეთში ვართ და განსაკუთრებული თბილი ატმოსფერო სუფევს. ძალიან მოვიხიბლეთ სოფელ ცხემლისხიდში გიორგი სალუქვაძის სახლ-მუზეუმის ხილვით. ეთნოგრაფიულმა კუთხეებმა, ჩურჩხელის ამოვლების ცერემონიალში მონაწილეობამ, თქვენებური ჭურის ღვინის დაგემოვნებამ წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა, საოცარი ბუნება, ლამაზი მთები, ზღვა, საოცარი სტუმართმოყვარეობა –ყველაფერი ეს შესანიშნავია –აღნიშნა მან.

ფესტივალი „არტ გურიას", მერიის კულტურის, სპორტის განვითარებისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის, ასევე ა.(ა)ი. პ. მოსწავლე ახალგაზრდობისა და სარეკრეაციო დაწესებულებათა გაერთიანების ორგანიზებით მოეწყო.

„ცოცხალი წიგნები“ ოზურგეთის კულტურისა და დასვენების პარკში

ალიონი. 13 ივლისს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის „კულტურის და დასვენების პარკში“ საგანმანათლებლო-ლიტერატურული პროექტის „ცოცხალი წიგნების“ ფარგლებში შეხვედრა გაიმართა, რომელიც საქართველოს სხვადასხვა სოფლებისა და ქალაქების საჯარო სკოლებში, ბიბლიოთეკებსა და სხვა დაწესებულებებში, თანამედროვე მწერლების მობილურ ჯგუფებთან შეხვედრას ითვალისწინებს.

პროექტის მიზანია მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს თანამედროვე ლიტერატურის პოპულარიზაციაზე.

შეხვედრას დაესწრო პროექტის ხელმძღვანელი ქეთევან დუმბაძე და ავტორთა ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით: ვასილ ბესელია, გიორგი ლობჟანიძე, ნათია როსტიაშვილი, რობერტ მესხი, ნატა ვარადა, გიორგი კაკაბაძე, მარიამ წიკლაური, ნანა დევიძე, ვლადას ბრაზიუნასი მეუღლითურთ, ნატალია ტროხიმი, ცირა ბარბაქაძე, ლელა ცუცქირიძე.

ღონისძიება მრავალფეროვანი კონცერტით დაამთავრა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა სამსახურმა.

ფესტივალზე ნაციონალური ბალეტის ხელმძღვანელის პირადი ინიციატივით



ქალაქ ბათუმში თენგიზ სუხიშვილის 80 წლისთავისადმი მიძღვნილი ფესტივალ - კონკურსი ჩატარდა, რომელში მონაწილეობა ოზურგეთის ჯუმბერ დუნდუას სახელობის სახელმწიფო ანსამბლმა „გურიამ“ მიიღო.

ანსამბლი ფესტივალზე ნაციონალური ბალეტის ხელმძღვანელის, ილიკო სუხიშვილის პირადი ინიციატივით მიიწვიეს.

ჯუმბერ დუნდუას სახელობის სახელმწიფო ანსამბლმა „გურიამ,“ როგორც საპატიო მონაწილემ, ფესტივალი ცეკვა „ფუნდრუკით“ გახსნა.

გურულმა საცეკვაო ნომერმა, რომლის ქორეოგრაფია და მუსიკაც ლოტბარ და ქორეოგრაფ გიორგი სალუქვაძეს ეკუთვნის, ნინო და ილიკო სუხიშვილების მოწონება დაიმსახურა.

ცეკვა „ფუნდრუკი“ ქორეოგრაფებმა ჯუმბერ დუნდუამ და ვაჟა ახვლედიანმა აღადგინეს.

როგორც ანსამბლ „გურიას“ ხელმძღვანელი, **კობა დუნდუა** განმარტავს, მიმდინარეობს მუშაობა ახალ საკონცერტო პროგრამაზე, რომელიც მხოლოდ გურული კომპოზიციებით იქნება დატვირთული. გარდა ძველი გურული ცეკვებისა სახელმწიფო ქორეოგრაფიული ანსამბლი „გურია“ მაყურებლის წინაშე კობა დუნდუას ახალი საავტორო ცეკვებით წარსდგება. როგორც კობა დუნდუამ გაზეთ „ალიონთან“ განაცხადა, წელს შესაძლოა ანსამბლი კონცერტებით ჩინელი მაყურებლის წინაშეც წარსდგეს.

7 დღის ამინდის პროგნოზი

ღრუბელი +16+22	მზე ღრუბელი +15+21	მზე +18+26	მზე ღრუბელი +19+28	მზე ღრუბელი +18+23	ჭექა-ქუხილი +18+22	ღრუბელი +17+20
16 ივლისი ორშაბათი	17 ივლისი სამშაბათი	18 ივლისი ოთხშაბათი	19 ივლისი ხუთშაბათი	20 ივლისი- პარასკევი	21 ივლისი შაბათი	22 ივლისი კვირა